№ 50

სამშაბათი, 8 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 50

სამშაბათი, 8 მარტი 1894

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობისაგან**

## განცხადება

იმის მიუხედავათ, რომ წლევანდელი ქართული სათეატრო სეზონისათვის მოწვეულნი იყვნენ თითქმის ყველა საუკეთესო არტისტები, მაინც წარმოდგენები იმით დასრულდა, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 2400 მანეთამდე ზარალი მოუტანა,—ხოლო ამ ზარალმა იმის გარდა, რომ საზოგადოების კასსა დააცარიელა, მასთანავე 700 მანეთამდე ვალიც დაადო მას. ამოდენა ზარალი და ვალი იმიტომ მოხდა, რომ, ჯერ ერთი, ზოგიერთ საუკეთესო არტისტების დიდ ფასში მოწვევით, საზოგადოებისავე დასაკმაყოფილებლად, გასავალს დიდად მოემატა, და მეორეც იმიტომ, რომ წარსული წლიდგან დრამატიულ საზოგადოებას უწინდელი შესაწევარი მოაკლდა ბანკისაგან, წელიწადში 1000 მან.

ამ გარმაოებით შევიწროებული ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა იძულებულად ჰრაცხავს თავის თავს, საქმისავე სასარგებლოდ, მიჰმართოს საზოგადოების წევრებს—ამ საქმის თანამგრძნობელთა, და სთხოვოს მათ დახმარება 1893 და 1894 წლ. (წელიწადში 5 მან.) საწევრო ფულის შემოტანით, რომ ამით მაინც გაუძლვეს მმართველობა თავის სავალდებულო საქმეებს.

ფულის შემოტანა უნდა მოხდეს საზოგადოების ხაზინადრის ბ. პეტ. ყიფიანის სახელობაზედ „ივერიისა“ ანუ «Новое Обозрѣніе»-ს რედაქციებში.

ტელეფონი № 92.

საწყობი ვოკზლის ახლო ავჭალის ქუჩის ბოლოს.

### ნავთი საუკეთესო თვისების,

ამ ნავთს მქვარტლი და სუნი სრულებით არა აქვს, რაც დაამტკიცა საბჭოს დარბაზის განათებამ ყოველ ხმოსანთა კრებაზედ. ე ნავთი ტფილისში იშოვება მხოლოდ საწყობში

## ამხანაგობისა „სვეტ“

შემზადება ამ ნავთისა შეკვეთილია განსაკუთრებით ბაქოში **ი. გ. ზორნიჩის** ნავთის ქარხანაში. ფერი ნავთისა ½ მარკი, როცა ანთია არც სუნი აქვს და არც მქვარტლი, ალი ნამდვილი თეთრი აქვს, ათი საათის განმავლობაში ალს ძლიერება არ აკლდება. **ფუთი ღირს** 1 მანეთი გაუგზავნელად და გაგზავნით 1 მან. და 10 კ. თითოეულ მუშტარს იმის დასამტკიცებლად, რომ ნავთი სწორედ ამ ამხანაგობისაა, მიეცემათ ანგარიში ამხანაგობის ბეჭედ დასმული. დაკვეთა შეიძლება ტელეფონით და ქალაქს ფოსტით არა ნაკლებ 3 ფუთისა და გაეგზავნებათ მეორე დღესვე. ნავთი გაეგზავნებათ რკინის ქვაბებით ამ წარწერით «ნავთი საუკეთესო თვისებისა ნავთის ამხანაგობისა» «სვეტ». (10—6)

**ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან**

ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ს. დ. გუგუნავა აუწყებს თავად აზნაურთ ოზურგეთის მაზრისას, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის საქმეებში და არჩევნებში, რომ მორიგი კრება თავად-აზნაურობისა დანიშნულია 15 მარტისთვის ამა 1894 წ., დილის 11 საათზედ, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთისავე სამაზრო გამგეობის სახლში და სთხოვს მობრძანდნენ სამაზრო კრებაზედ და მანამდის-კი გამოუგზავნონ წინამძღოლს თანხმად შენიშვნისა 104 მუხლისა IX ტ. დასაბუთება მათი ქონებრივის უფლებისა იმავე IX ტ. 102 და 104 მუხლის ძალით. (1—1014—1)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 მარტს

ქართულ დრამატიულ არტისტთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება.

## ჰამლეტი

დრამა შექსპირისა, თარ. ი. გ. მაჩაბლისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:**

ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, ავალიშვილისა, მაქსიმაძისა, ნემიროვისა და ბ-ნნი გ. აბაშიძე, გ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. ყიფიანი, გ. გედევანიშვილი, კ. შათირიშვილი, გ. კანდელაკი, ი. მჭედლიშვილი, ა. აღლაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე.

რეჟისსორი ვ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

დანიშნული ოცდა-შვიდს წარსულ თებერვლისას ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებისამებრ თავად-აზნაურობა არ შეკრბა.

ამისა გამო **ბორჩალოს მაზრის კეთილ-შობილთა** წინამძღოლმა თ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურიან-ორბელიანმა დანიშნა მაზრის კრება ცამეტს ამა მარტისასა და სთხოვს, იმ თავად-აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვსთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაში, მობძანდნენ ზემო აღნიშნულს დღეს, დილის თორმეტს საათზედ კვირას, ტფილისის კეთილ-შობილთა დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკუჯანოვის სახლში, სადაც შესდგება ბორჩალოს მაზრის კრება, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას წინამძღოლს, დეპუტატთ საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთის უფლებისა, რომლის წარმოუდგენლობის გამო არ იქმნებიან ჩაწერილნი სიაში. (3—1)

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა** პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის ოცდა შვიდს საღამოს რვის ნახევარზედ დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამა კრების განსარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წასრულის 1893 წლის განმავლობაში და დამტკიცება მონაგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ გასამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვისა 1894 წლისათვის.

4) ყიდვა უძრავი მამულისა ბანკის სადგომად.

და 5) ამორჩევა წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერის: ორი რჩევის დეპუტატის, გამგეობის ერთის წევრისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირთა, თუ რომ ეს საჭიროდ აღმოჩნდა.

რწმუნების ქაღალდები უნდა წარმოუდგინონ მმართველობას არა უგვიანეს 24 მარტისა. (1—1)

## ახალი ამბავი

*** ტფილისში სახელმწიფო ზინდართ უწყებას აქვს განყოფილება სადაც ინახავს სხვა-და-სხვა ჯიშის ცხენებს. ახლა ეს უწყება აცხადებს, რომ მარტიდან მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ ულაყი ცხენები ჯოგის გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფო სამექინიბოში ჰყავთ: ჩინებულის ჯიშის სამუშაო საურმე და საჯდომი ულაყი ცხენები.

სასურველია, რომ ჩვენმა ჯოგის მეპატრონეებმა და ცხენის მოყვარულებმა ეცადონ ისარგებლონ, ამ შემთხვევით და ჩვენის ქვეყნის წვრილმანის ცხენის ჯიში განაკარგონ.

*** დღეს, 8 მარტს საღამოს ექვს საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. კრება მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ მოისმენს მოხსენებას სარევიზიო კომისიისა და იმ კომისიისა, რომელსაც უნდა შეესწავლა, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია უკანასკნელის წლის მოუსავლიანობა და რა ღონის ძიებით შეიძლება მის მავნებლის შედეგის აცილება მომავალში. არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** პარასკევს, 11 მარტს, სამუსიკო კრუჟოკში დანიშნულია ბენეფისი ამ კრუჟოკის დირიჟორის ი. პ. ფალიაშვილისა. გამართული იქნება სალიტერატურო სამუსიკო საღამო ოთხს განყოფილებად. პირველი განყოფილება დათმობილი ექნება მუსიკასა და გალობას, მეორეში ბ-ნი ალექსი მესხიშვილი წაიკითხავს რუსულად შეშლილის წერილებსა, მესამეში—წარმოდგენილი იქნება ქართულს ენაზედ ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ცელქები“ ქართულის-დრამატიულ თეატრის საუკეთესო არტისტების მონაწილეობით და მეოთხე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნება ფლოტოვის ოპერა „სტრადიელადგან“ მეორე მოქმედების უკანასკნელი სცენა. მომქმედთა სახელებს შემდეგ გამოვაცხადებთ.

*** 5 მარტს ტფილისში გარდაიცვალა ბ-ნი გ. ო. შანშიევი, ქართულის ენის ცენზორად ნამყოფი. განსვენებული ცენზორობის თანამდებობაზედ დიდხანს იყო და ყოველთვის თანაგრძნობითა და ყურადღებით ეკიდებოდა ქართულს ჟურნალ-გაზეთებს. ჩვენთა მწერალთ, საუკეთესო ნაწარმოებანი იმისის ცენზორობის დროს არის დაბეჭდილი.

*** ამას წინად პეტერბურგის სამოსწავლო კომიტეტის სატეხნიკო და არაფერიო წილურ განათლების განყოფილებამ თავის კრებაზედ დაადგინა: სუხუმის სამთო სასწავლელი, რომელიც აქამდე სამხედრო უწყების ხელში იყო, საერო განათლების სამინისტროს გადაეცეს და ამ სასწავლებელში შემოღებულ იქმნას სწავლება ბოღოსნობისა, მებოსტნეობისა, თამბაქოს, მოყვანასა, მეფუტკრეობისა, აბრეშუმის მოყვანისა და მევენახობისა.

*** ამ ახლო ხანში გზათა უწყების სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში შეაქვს წინადადება: ხარჯთაღრიცხვის გარეშე სესხად გაიღოს მთავრობამ ფული, რათა კავკასიის უმთავრეს მდინარეთა რუსხმული გაიწმინდოს, რომ ტივებისა და ხეტყის ჩატარება შესაძლებელი გახდეს.

*** ეჭვი არ არის, რომ ბაზარსა და იარმუკობას დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის გასავრცელებლად ყოველ მხარეში. ყველგან არის დაწესებული იარმუკები, სადაც მსურველს შეუძლიან გაჰყიდოს და იყიდოს საქონელი, ცხენი და სხვა. ჩვენში-კი მხოლოდ ბაქოში და ტფილისის გუბერნიის სოფ. ვარანცოვკაშია ბაზარი, მაგრამ საკუთრად საქონლისა და ცხენების იარმუკა არსად არ არის. ეხლა ბეითალის მეჩერსკის წინადადებისამებრ, აპირებენ იარმუკის გამართვას განჯაში—15—25 აპრილამდე, მერე ტფილისში—5—18 მაისამდე, ქუთაისში—25 მაისიდამ 8 ივნისამდე, სოფ. ქურდამირში (ბაქოს გუბერ.) 17—30 სექტემბრამდე და სოფ. ბარდაში (განჯის გუბერ.) 7—21 ოქტომბრამდე.

*** რამდენსამე ქართველ სცენის მოყვარულს ყმაწვილ-კაცობას განუზრახავთ ტფილისში ჰმართონ ხოლმე უფასოდ ქართული წარმოდგენები ისეთ ადგილას, სადაც შეეძლებათ შეუძლებელთ და საწყალ ხალხს დასწრება და ნახვა. ამ სცენის მოყვარულთ პირველი წარმოდგენა უკვე ჰქონდათ გამართული 27-ს თებერვალს იერუსალიმის ქუჩაზე ო—ვს სახლში. წარმოადგინეს თამარ-ბატონიშვილი, მეოთხე მოქმედება; და ვოდევილები ადვოკატი მელაძე, მამა და შვილი და გადარეული. ამას გარდა დივერტისმენტშიაც ლექსები წაიკითხეს. ხალხით სავსე იყო დარბაზი და ძრიელ კმაყოფილნიც დარჩნენ მაყურებელნი. რაც შეეხება თვით მოთამაშეთა ღირსებას, უნდა ვსთქვათ, რო საზოგადოდ ყველამ თავისი როლები რიგიანად შეასრულა განსაკუთრებით-კი უფრო ყველაზედ უკეთ ორმა წარმოადგინა სოსიაშვილმა და ივანეშვილმა, პირველი თამაშობდა ვაჭრის როლს, და მეორე შალვას როლს „თამარ-ბატონიშვილში“.

*** სოფ. კარალეთი (გორის მაზრა): წარსულს წელიწადს ჰინახულის გამოსავალი საშუალო იყო, ღვინის-კი ძრიელ კარგი. მხოლოდ ეს არის—ფასი დაეცა და ვაჭრებს ვეღარ ვიკარებთ და ღვინო ისე გვიდგია ქვევრებში. ოცდა-ხუთი „სოფლის“ თუნგი (ორი კოკა) 14—16 მან. ფასობს*).

ავადმყოფობა—ხველა სურდოს გარდა, არა არის-რა გავრცელებული. კანტი-კუნტად წითელა იყო, მაგრამ ისიც განელდა, ისე რომ მსხვერპლი

*) სოფლის „თუნგი 6 ჩარექაა, „ბაზრისა“ 4.

არა შეუწირავს-რა. ისეთი თბილი დღეები დადგა თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, რომ გლეხობა გავიდა ვენახებში და სარის ჩეკა და ნერგების კაფვა დაიწყო.

** 6 მარტს, მადათოვის კუნძულზე უეცრად გარდაიცვალა ტივის მზიდავი სოფ. უფლის-ციხის მცხოვრებელი სვიმონ სირანაშვილი.

## ნაწყვეტები

თქვენი საქები სასიძო
მაგდენი არაფერია:
მრავლად სხდომია გოგრაში
ოფოფები და მწყერია,
არ აძევს იმის ჭკვა-გულსა
კეთილ-გონების ფერია,
გარეგნობით კი—რა უჭირს,
უხდება ულვაშ-წვერია.

## კორესპონდენცია

**სოფ. ზემო-თეკლათი** (სენაკის მაზრა): ს. ზემო-თეკლათი სულ ნახევარ ვერსის მანძილზედ სძევს ახალ-სენაკიდამ დასავლეთისაკენ. ამ სოფელში ორას კომლზე მეტი მცხოვრებია. ეს სოფელი შესანიშნავია დაფნის ტყით, რომელსაც დიდძალი მუშტარი ჰყავს. უფრო საზღვარ-გარედ მიაქვთ. ამავე სოფელშია ქვის ქარხანა, რომელშიაც დიდი მუშაობაა; ახალ-სენაკის შენობათათვის აქედამ მოდის ქვა. ეს ქვა ვაგონებით სხვა-და-სხვა დაბა ქალაქებშიაც-კი მიაქვთ; ამ ქვისას კირსაც სწვავენ.

გვაქვს აქ ორი შტატის ეკკლესია ქვითკირისა. აგრედვე სამრევლო სკოლა. მოწაფეთა რიცხვი ამ სკოლაში დღითი-დღე მატულობს. ჩვენი გაჭირებაა გზის უქონლობა. სენაკიდგან დაწყებული ამ სოფლის შუა მიდის ერთი გზა, რომელზედაც ვგონებ თავის დღეში ქვა არ მოუყრიათ. ხიდები ხომ სულ არ ჰღირსებია. შარშან ზაფხულში თხრილები ამოაღებინეს და მიწა-კი გზას მოაყარეს. გზა ამის გამო უფრო გაფუჭდა. უწინ ადგილ-ადგილ ოღრო-ჩოღროები იყო და ცოტაოდენი ტლაპოებიცა, ახლა ხომ სულ ტლაპოს მორევებია ყველგან. იმისთანა დღე არ გავა, რომ რაიმე უბედურება და ზარალი არ მოხდეს ამ ჯოჯოხეთ შარაზე: ზოგს ურემი ემსხვრევა და თვითონ ხომ ლაფში იხრჩვება, ზოგს ხარ-კამბეჩი ეფლობა, ზოგს ცხენი და ჯორი და სხვა. გლეხკაცს ვერ მოუხერხებია ბაზარში გატანა თავის ოფლით ნაშრომის ჭირნახულისა, რომ სამაგიეროდ ყოველდღიური, ცხოვრებაში უსაჭიროესი სასყიდელი იყიდოს. ასე გასინჯეთ, მიცვალებულის წაღება ეკკლესიაში ისე ძნელია, რომ თუ არ ურმით და ისიც ყევარ ხარ-კამეჩ შებმულით, სხვაფრივ ვერ ხერხდება. ექიმის მოწვევა ხომ თითქმის შეუძლებელია, მერე ისიც ამ ავადმყოფობის დროს.

პირველ თებერვლიდგან დაწყებული ბუნება ერთობ ჭინჭყლიანობს. თოვლ-ჭყაპი და წვიმები თავს არ გვანებებს, რის გამოც ჩვენში გახშირდა, სხვა-და-სხვა მოარულს გარდა, „ინფლუენცია“, რომლითაც მრავალია ავად.

სენაკელი

## დასასრული ხონის დავისა

19 თებერვალს დ. ხონში მივიდა თურმე კავკასიის წყალთა და მდინარეთა ინსპექტორი ვეის-ფონ-ვეისენგოფი, რათა ადგილობრივვე გაეცნო საქმე იქ ატეხილ დავისა და უთანხმოებისა. ამავე დროს იქავე მივიდნენ ქუთაისის მაზრის უფროსის მოადგილე თ. ა. ზ. ჩიქოვანი და სამთო ინჟენერი ლ. კ. სავიცკი. დ. ხონს მისულთ დახვდნენ ხონის წყალის არხის მირაბი დ. ლ. ლოლობერიძე და საბჭოს წევრნი. წყალთა და მდინარეთა ინსპექტორმა ფიცი მიაღებინა ცხენის-წყალის არხის საბჭოს ამორჩეულთ 19 იანვარს.

ნ. ი. წერეთელმა განუცხადა ინსპექტორს, რომ აუცილებლად საჭიროა ცხენის-წყალის არხის მაზრა სოფლებად იყოს დანაწილებულიო. ინსპექტორმა ამის შესახებ განმარტა, რომ ამ ჟამად აგრე მოქცევისათვის საკმაო საბუთი და საფუძველი არა გვაქვს. 19 იანვარს ამორჩეული საბჭო შეჰკრებავს ცნობებს, რამდენი მიწა ირწყვება ამ არხით, შეადგენს არხის მონაწილეთა სრულს ნუსხას და მაშინ ახალს წესს შეიმუშავებენ. ინსპექციაც თავისის მხრივ, რომლისაგანაც დამოკიდებულია ამ წესის დამტკიცება, დააფასებს საბჭოს მიერ წარმოდგენილს საბუთებს და მაშინ, ესე იგი სამის წლის შემდეგ, საქმე მოჰგვარდებაო. ეხლა-კი, როდესაც საქმე ახლად დაწყებულია, ჯერ ბნელაში ვტრიალებთ. აწინდელი განაწილება წყალის მაზრისა ინსპექციამ იმიტომ შეიწყნარა, რომ ხონელები ერთად იყვნენ, როგორც უწინ ამას თქვენვე თხოულობდით. რაც შეეხება მაზრის სოფლებად დანაწილებას, ეს შეუძლებელია და აი რა მიზეზით: ყველა სოფელი ერთის სიდიდისა და მნიშვნელობისა არ არის. თვით კანონი ამ მხარეს წყალის მაზრებად და მაზრების განყოფილებად ანაწილებს მდინარეთა კვალობაზედ. ყოველი სარწყავი მიწა ეკუთვნის იმ ადგილს, საიდგანაც იღებენ წყალს იმის მოსარწყავად. თქვენ-კი ჩემგან შეუძლებელსა თხოულობთ. თქვენ გინდათ ცხენის-წყალის მაზრა ისე დავანაწილო, რომ თითოეული თქვენგანი საბჭოს წევრად იქმნას ამორჩეული. აბა განა შესაძლებელია ამ ანდაზაზედ დაჭრა მაზრისა?

ი. ს. შარაშიძემ შესჩივლა ინსპექტორს, რომ ხონ-ჯიხაიშის წყალის არხი ხონელებისა და ჯიხაიშელების მიერ დაწყებული საქმეა, ნახევარი ამ საქმისა ერთთ ეკუთვნით, ნახევარი—მეორეთაო. ამასობაში ჯიხაიშელებს ამ ჟამად საბჭოში ორი ხმა აქვთ და ხონელებს-კი—ერთიო. ამაზედ საბჭოს ერთმა წევრთაგანმა შენიშნა, რომ ხონის წყალის არხი ანტრეპრიზა და საკუთრება არ არის ამა-და-იმ კერძო კაცთა, ანუ სოფელთა, არამედ საქვეყნო საქმეა, დაფუძნებული 1890 წლის 3 დეკემბრის კანონზედ, რომელიც მონაწილეობის უფლებას აძლევს ყველა სარწყავ მამულის პატრონს, რომელთაც ამ საქმეში შრომა და ხარჯი მიუძღვით. ინსპექტორი დაეთანხმა ამ ნათქვამს და დასძინა, რომ წყალთა და მდინარეთა სამმართველო არასოდეს არ ჩაუგდებს ცხენის-წყალს ორის სოფლის წარმომადგენელთ, რომ იმათ ისარგებლონ დანარჩენ სოფლებისაგანაო. საბჭოს უმრავლესობა უნდა ეკუთვნოდეს მონაწილეთა უმრავლესობას, ესე იგი სარწყავ მამულების მეპატრონეთა უმეტესობასაო.

## „კვალის“ რედაქტორს *)

გულ-დასმით წავიკითხე თქვენი განმარტება ჩემს წერილზე („კვალი“ № 8) და, უნდა მოგახსენოთ, სასიამოვნოდაც დამირჩა. მე გისაყვედურებთ თქვენ ჩემის წერილის აზრის გადასხვაფერებისა და გადაუკულმართებისათვის და თქვენ-კი ამაზედ მიპასუხებთ: „ჩვენ გვეგონა ბ-ნი ზღვისპირელი მადლობელი დაგვრჩებოდა, თორემ რა სასიამოვნო მოვალეობა უნდა იყოს რედაქციისათვის თითო წერილზედ ოცდა-ოთხის საათის გაცდენა მის გასაკეთებლადო“. ვგონებ მარტივი და გასაგები უნდა იყოს, ბატონო რედაქტორო როცა ვამბობ, რომ „თუ ჩემის წერილის აზრს არ იზიარებდა რედაქცია, სრული უფლება ჰქონდა არ დაებეჭდა, და, თუ დაბეჭდა, აზრის გადაუკულმართება რაღა იყო“-მეთქი. აი, ამაზედ უნდა მოგეცათ თქვენ მოჭრილი პასუხი, თორემ რაში გამოგადგებათ შემდეგი მარგალიტები: «რომ ზღვისპირელის კრიტიკული წერილი ბავშვური ტიტინი-კი არ გამოსულიყო, რომ გაზეთს ისეთს მკითხველებთან აქვს საქმე, რომელთაც ზღვისპირელისთანა კრიტიკოსები მოწაფეთაც (რა გაეწყობა!) არ ეკადრება“-ო და სხვა. დიაღ, თქვენ ყველაფერი ბრძანდებით („თქვენ ხართ მარილი ქვეყნისა“), თქვენი გაზეთიც საუცხოვო რამ არის, მაგრამ მე მაგას როდის დავსდევ, მაგისთვის ჩემს რწმუნებას როდი გიმსხვერპლებთ! დიაღ, თქვენ თავაზიანად მოეკიდეთ ჩემს წერილს, როგორც „ახალ ენა ამოდგმულისას“, ოც-და-ოთხი (sic) საათი გააცდინეთ მის გადასაკეთებლად და სხვა, მაგრამ ნეტავი როდის გთხოვეთ, რომ თქვენ ჩემი მასწავლებელი გამხდარიყავით და უსასყიდლო გაკვეთილები გეძლიათ?!! ასეთს შემთხვევებზე იტყვიან ხოლმე: „არა მკითხე მოამბეო...“

ზღვისპირელი.

ჭიათურა.
19 თებერვალს.

*) პასუხიდან.

რედ.

# რუსეთი

ამას წინად სარკინისგზო საქმეთა დეპარტამენტში ნავთის მწარმოებელთა მონაწილეობით განსაკუთრებული კრება იყო ნავთის გადასატან გარდასახადი შესახებ. საგარდასახადო კომიტეტმა განიხილა ნავთის ბაქოიდგან საზღვარ-გარეთ გატანის გარდასახადის შემცირების საქმე. ნავთის ამიერ კავკასიის რკინის გზით გადატანის გარდასახადის შემცირებას საჭიროდ ჰხდის როგორც ის გარემოება, რომ განკარგდეს აწინდელი მდგომარეობა ნავთის წარმოებისა, აგრეთვე ისიც, რომ ჩქარა და უფრო სასარგებლოდ მორიგდნენ ერთმანეთში კავშირი ბაქოს ნავთის მწარმოებელთა და ამერიკელ ნავთის მწარმოებელთა. აწინდელის ნიხრით, რომელიც დაწესებულია 1889 წლის 15 ივნისიდგან, ბაქოდგან ბათუმში ნავთის გადატანა, სულ ერთია, ადგილობრივვე იქმნება იგი ხმარებული, თუ გაიგზავნება რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ბაზრებში, ფუთი ღირს 19 კაპ. (ამაშია ჩათვლილი სადგურების ხარჯით 0,4 კაპ.). ეს ნიხრი მაშინ არის დადგენილი, როდესაც ნა-

# ფელეტონი

## საპედაგოგიო წერილები

საიდგან უნდა დაიწყოს მასწავლებელმა წერა-კითხვის სწავლება დედა-ენაზედ?

(საეკკლესიო-სამრევლო და საერო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ).

უწინ, რაკი შემოსდგამდა ფეხს ბავშვი სკოლაში, მაშინვე მიაჩეჩებდნენ ხელში წიგნს და დააწყებინებდნენ ანა, ბანა, განა, დონის და სხვა ასოების გაზეპირებას. დიდს და მძიმე ტვირთს შეადგენდა ბავშვებისათვის ეს, ერთის შეხედულობით, უადვილესი სიქმე—ანბანის გაზეპირება. ექვსის, შვიდის წლის ყმაწვილისათვის, მართლაც, არ უნდა ყოფილიყო გასაჭირი ოც-და-ათი, თუ ორმოცი ასოს გაზეპირება, მაგრამ როდის? როდესაც სიტყვები არ წარმოადგენდნენ უაზრო რაიმეს, როდესაც ბავშვი იქმნებოდა შემზადებული ამისათვის და შეისმენდა იმის მნიშვნელობას, რასაც შეისწავლიდა. მაგრამ ყველა ამას, საუბედუროდ, იყო მოკლებული ძველი სწავლის მეთოდა. ბავშვი, რომლის ჭკვა და გონება გართული იყო ჯერ კიდევ ოჯახში, რომლისათვისაც სრულებით უცნობი იყო როგორადაც სკოლის წეს-წყობილება, ეგრედვე სკოლის ამხანაგები, იძულებული იყო შეესრულებინა ეს საქმე მხოლოდ მეხანიკურად. პირველისავე ნაბიჯიდან ის სცნობდა თვის სისუსტეს სწავლაში და ეს ურევდა ჭკვას და უბნევდა აზრს, ულევდა ძალ-ღონეს და, რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი უფრო და უფრო უძნელდებოდა სწავლის საქმე. ამის გამო დიდი და ხანგრძლივი ჯაფა უნდოდა ყმაწვილს ანბანის ასოების გაზეპირებისათვის, უფრო დიდი ასოებისაგან მარცვლების და სიტყვების შედგენისათვის. თვით უნიჭიერესს ბავშვისათვისაც-კი გასაჭირი იყო ეს. აქედგან წარმოსდგა ქართული ანდაზა: „სწავლის ძირი მწარე არის“ და მართლაც, რომ მწარე იყო, უმწარესს თვით ნაღვლისა.

იქამდის პირქუში და ბუნების წინააღმდეგი იყო ეს სწავლის მეთოდა, რომ რაც უფრო შეგნებული, ნიჭიერი და გონება მახვილი იქმნებოდა ყმაწვილი, იმდენად უფრო გაუჭირდებოდა სწავლა და მართლაც, რომელი გონიერი ყმაწვილი მიხვდებოდა, რომ „ბანი, ანი, რაე, ინი“ შეადგენდნენ სიტყვას „ბარი“?! შეიკრეფს ბავშვი თავის პაწია ჭკვის ძალებს, ჩხრეკს, უკვირდება თავის პატარა გონებით და ჰგონია, რომ სიტყვები „ბანი, ანი, რაე, ინი“ ნიშნავს „ბანი, ანი, რაე, ინსა“-სა, მასწავლებელი კი ეუბნება ასჯერ და ორასჯერ, რომ ეგენი შეადგენენ სიტყვას „ბარი“-ო. განცვიფრებიდან გამოდის ბავშვი, სცდილობს შეიგნოს როგორმე, მაგრამ საიდუმლო საიდუმლოდვე რჩება მისთვის. უწყდება ბავშვს ამის გამო სწავლის იმედი, ეკარგება ხალისი, სძულდება წიგნი, ჰზიზღდება სკოლა და ამ ნაირად თავ-შებეზრებული გაურბის სწავლას და სკოლას. აუცილებელს შედეგს ამ მეთოდისას წარმოადგენდა ის სასტიკი ღონისძიებანი და სასჯელნი, რომელიც განუყრელი თანამოგზაური იყო ძველის სწავლებისა. წკეპლა და მათრახი, თმების დაგლეჯა, ფეხების დაშაშვრა, თავის და შუბლის დასერვა, გამურვა, აგურის ნამტვრევებზე მუხლის თავებით დაყენება და სხვა და-სხვა.

რომ აღნიშნული ძველის სწავლების ჩვეულება-დაწყება სწავლისა პირველ დღიდგანვე ანბანიდგან ანტი-პედაგოგიური საქმეა და მისდევდნენ ამ ჩვეულებას მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენის ძველის დროის მასწავლებლებს თავის მოვალეობისა არც არა გაეგებოდათ-რა და არც სურდათ შაეტყოთ. ეს დღეს, რასაკვირველია, უეჭველია; მაგრამ აღარც უკეთესად-ლა იქცევიან ის ჩვენი ახლანდელი პედაგოგებიც, რომელნიც პირველ დღიდგანვე სულსა ჰხდიან ბავშვებს სიტყვების ხმებად დაშლით და ამ დაშლილის ხმებისაგან ხელ-მეორედ სიტყვის შედგენით. ყოველი გონიერი და გამოცდილი პედაგოგი ურჩევს და პედაგოგიაც მოითხოვს, რომ მასწავლებელმა, ვიდრე დააწყებინებდეს სისტემატიურ სწავლას, შეამზადოს ბავშვები სწავლისათვის. ეს პროპედევტიური ანუ მოსამზადებელი კურსი ქვა-კუთხედია, ბურჯია, დედაბოძია სწავლებისა; ამიტომ მასწავლებელს არაოდეს არა ჰმართებს აქ აჩქარება. რაც უფრო კარგად და საფუძვლიანად შეამზადებს მასწავლებელი ყმაწვილებს სწავლისათვის, იმდენად უფრო გაადვილდება შემდეგ სწავლა და, წინააღმდეგ, რამდენადაც მასწავლებელი აჩქარდება, იმდენად უფრო გაძნელდება სწავლა შემდეგში. „არ შეიძლიან წარმოიდგინო იმაზედ არა პედაგოგიური მოქმედება, ამბობს კელლნერი თავის აფორიზმებში, როგორც ის მავნებელი ჩვეულება, რომლის თანახმადაც ბავშვებს პირველ გაკვეთილიდგანვე დააწყებინებენ ანბანის ასოების ზეპირებას, ან ვარჯიშობას სიტყვების ხმებად დასაშლელად და დაშლილ ხმებისაგან შემდეგ ისევ სიტყვების შესადგენად. ბავშვი, ვითა ღრმა ძილში, ჯერ კიდევ გართულია ოჯახში, ჯერ არც-კი გამორკვეულა კარგად, თუ სად არის, ან რა არის სკოლა; ყველასი იმას ეშინიან; ყოველივე ან აკვირვებს, ან უღვიძებს ცნობის მოყვარეობას და იმას-კი უწყალოდ აძლევენ ხელში წიგნს და აწყებინებენ რაღაც ანბანის სწავლას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს არც მის უწინდელ ცხოვრებასთან, არც მის შეხედულობასა და მოქმედებასთან. იმის მაგიერად, რომ ბავშვი ცოტ-ცოტობით მიაჩვიონ და გააცნონ სკოლას, არ შეამჩნევინონ ოჯახისა და მშობლების მოშორება, აჩეჩებენ ხელში რაღაც გაციებულს ასოებს, აშლევინებენ სიტყვებს რაღაც ხმებად, არჩევინებენ უცნაურს ხმებს, რომლებსაც ყმაწვილებისათვის უსიამოვნების მოტანის მეტი არა შეუძლიანთ-რა“.

მართლაც, განა წიგნის მეტი აღარა არის-რა, საიდგანაც შეიძლება დაიწყოს საქმე მასწავლებელმა? მაგრამ იქნება სთქვას ვინმემ, დრო ძვირფასიაო, სწავლას დაჩქარება უნდაო, რაც მალე მივმართავთ და მივყოფთ ხელს საქმეს, ისა სჯობიაო. მაგდენი არაფერი ყაირათი იქნება, სწორე მოგახსენო. ტყუილ-უბრალოდ ძალ-ღონის შელევით ბავშვი ვერ განათლდება და ჭკვიანი ვერ გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთის წარმოების საქმე ძალიან კარგ მდგომარეობაში იყო, როდესაც ნავთი თვით ბაქოშივე ფუთი 15—20 კაპ. ისყიდებოდა. ეხლა-კი ნავთის ფასმა ალაგობრივვე იკლო, ფუთ ნავთის ფასი დაეცა 5—4 და $3\frac{1}{2}$ კაპეიკამდისაც-კი. ამის გამო საჭირო შეიქმნა, ნავთის რკინის გზით გადატანის ფასი იმდენად შემცირდეს, რომ ნავთის წარმოებელმა იმაზედ ნაკლები მოგება არა ჰნახოს ბაქოში, რაც თითონ უჯდება წარმოება. საგარდასახადო კომიტეტმა მხედველობაში იქონია ფასი ნაწარმოებისა, რაც დამჯდარა, როგორც ისყიდება, გადატანის ხარჯი და დაადგინა ეს ბაქოდგან ბათუმამდე ნავთის გადატანის ხარჯი ფუთზედ 5 კაპ. შემცირებულ იქმნასო. ამ გვარად, ნავთის მწარმოებლებს, 19 კაპ. მაგიერ ამიერიდგან გადახდებათ 14 კ. ფუთზე.

## უცხოეთი

—

**ბერლინი.** პარლამენტმა მეორე წაკითხვის დროს შეიწყნარა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა, ის-კი, რომ ათის მილიონით შემცირებული იყოსო. ათის მილიონით შემცირებულია ახალ კაზარმათა ასაგები ხარჯი. ამ ხარჯის შემცირებაზედ შეთანხმდნენ მემარჯვენეთა დასი, თავისუფლად მოაზრენი და სოციალ-დემოკრატები.

—

ბერლინიდგან დეპეშით აუწყებენ რუსეთის გაზეთებს, რომ შაბათს, 23 თებერვალს, იმ სადილზედ, რომელიცა ჰქონდა გამართული იმპერატორ ალექსანდრე მე-III სახელობის რაზმს თავისის უავგუსტოესის მეფის პატივსაცემად, აფიცრებმა ხელში აიყვანეს რუსეთის ელჩი გრაფი შუვალოვი და ასე ატარესო. ეს არაჩვეულებრივი ალტაცება გამოიწვია რუსეთისა და გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებამაო. გერმანიის კანცლერს გრაფ კაპრივის ყოველ მხრიდგან ულოცავენ ამ უკანასკნელს გარემოებას. ლიბერალთა გაზეთებს თავი მოსწონთ იმისგამო, რომ ერის კეთილ დღეობამ გაიმარჯვაო.

—

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში ნაციონალისტმა გობლემ სიტყვაწარმოსთქვა და განაცხადა, რომ ამას წინად კარნომ რუსეთს სადიპლომატიო დეპეშა გაუგზავნა, იქიდგანაც მოუვიდა, მაგრამ ამ დეპეშებს გარეშე საქმეთა მინისტრის ხელი არ ეწერა და ეს-კი უწესოებააო. შემდეგ განაცხადა, რომ ეხლა ბევრსა ჰლაპარაკობენ რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კავშირის შესახებ, მაგრამ ჩვენ-კი არა ვიცით-რა, რა მდგომარეობაშია საქმე ამ კავშირისაო. ამ სიტყვების წარმოთქმისათანავე მემარჯვენეებმა ტაში დაჰკრეს, მემარცხენეებმა შეჰყვირეს: „კმარა, კმარაო!“ ორატორმა განაგრძო: „არა მგონია, რომ ამ კავშირის საქმე საკმაოდ წავიდეს წინ, თუ მხედველობაში ვიქონიეთ ის თავაზი და რიდი, რა თავაზა, და რა რიდიც მოსთხოვა სამინისტრომ პალატას, როდესაც შემოტანილ პურის ბაჟის კანონის განხილვაში იყოო.

—

**ავსტრიუნგრეთი.** რუსეთის გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ში არტემიევი სწერს, რომ მიზეზი იმ თავითვე სიძულილისა, რომელსაც ჰგრძნობენ ავსტრიელები რუსეთის მიმართ, განათლებულნი წოდებანი არიან, რადგან ისინი ყოველთვის მტრულის თვალით უყურებდნენ რუსეთს და მის მიმართ სიძულილს ავრცელებდნენო. გრაფი ნესელროდე დიდადა სცდილობდა სიძულილი რუსეთის მიმართ გაევრცელებინა ახალს მოზარდს მოსწავლეთაობაში და ამ გვარად მთელი თაობა წამოიზარდა, რომელსაც რუსეთი ცნობიერადა სძულდაო.

## დეპეშა

7 მარტი

**ბერლინი.** გუშინ გრაფ შუვალოვს სადილი ჰქონდა გამართული, რომელზედაც დაესწრო იმპერატორი ვილჰელმი, გრაფი კაპრივი, ობერ ჰოფ მარშალი ვილენბურგი, სტატს-სეკრეტარი, მარშალი და გერმანელი ელჩი რუსეთისა, გენერალი ვერდერი.

გუშინდელ თავის სადილზედ გრაფმა შუვალოვმა დალია სადღეგრძელო იმპერატორის ვილჰელმისა, რომელმაც სამაგიეროდ ადღეგრძელა იმპერატორი ალექსანდრე. გერმანიის იმპერატორი რუსეთის საელჩოში დარჩა საღამოს 11 საათამდე.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 151 | 154 | 7,51 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $243\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,, | $221\frac{1}{4}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | $101\frac{3}{8}$ |
| 5% . . . . . | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | $101\frac{3}{8}$ |
| 5%. . . . . . | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ყ—ას. დ—ს რ. თ. გ—ს.** თქვენის პასუხით ჯერ პირდაპირ იმ გაზეთს მიჰმართეთ, სადაც თქვენი შესახები წერილი იყო დაბეჭდილი.

**გ—მს. ლ. ჩ—ელს.** თქვენი წერილი ფრიად საგულისხმოა, მაგრამ მისი დაბეჭდვა არ მოხერხდება. ბარემ ბევრნი არიან იმისთანები, რომლის ლაპარაკიც თქვენ მოგყავთ თქვენს წერილში, მაგრამ რას უზამთ. გონიერი და ფრთხილი მოქმედება გვმართებს მხოლოდ, სხვა არაფერი. თუ პასუხის მიცემაა კიდევ, ისიც გონივრულად და თავ-დაჭერით უნდა მიეცეთ იმისთანა აღვირ-წახსნილ და გონება-დაბნულ, სვინიდისს გამოლეულ ლირფებს.

**ს. ყ—ას. ალ. ჯ—ლს.** თუ მართალია, რასაც თქვენ იწერებით, რომ სოფელი ცხვრის ფასად გადაქცეულა და მოხელეები ძარცვავენ და ჰგლეჯენ მარცხნივ და მარჯვნივ, უნდა პირდაპირს მთავრობას აცნობოთ ყოველივე მათი უწესოება. ან არა და—ვისი ბრალია, რომ სოფელი მაგისთანა კაციჭამიებს ირჩევს თავის უფროსებად, მომვლელებად, პატრონებად? დავიჯეროთ, ან თქვენს სოფელში, ან ახლო-მახლო ერთი სვინიდისიერი, გაგებული, მართალი კაცი არ მოიპოვება, ან თავადი, ან აზნაური, ან გლეხი, რომ სთხოვოთ და იმან იტვირთოს მაინც ღვთის გულისათვის, სამადლო საქმე, სოფლის მოვლისა და პატრონობისა?! არა გვჯერა, რომ ასეთი კაცი მაგ ხეობაზედ, არა თუ ერთი და ორი, არამედ ათი და ოციც არ იყოს. შეიყარეთ სოფელი და გადასწყვიტეთ ამისთანა ნამუსიანის არჩევა მამასახლისად. თუ უსასყიდლოდ არავინ წამოვიდეს, მიეცით სასყიდელიცა. უფრო მეტს შეგმატებთ, ვიდრე ამ სასყიდლის გადახდით დაგაკლდებათ.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი**, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

**მ. ი. ფრანციუსი**, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**შვედურს მაღაზიაში**; მიხაილოვის ქუჩაზედ, № 99 მივიღეთ ახალი **„თესლეულობა“** ბოსტნეულობისა, ყვავილებისა და ბალახეულობისა, აგრეთვე ახალი შვედური ორთქლით მოხარშული შვრიის **„ფქვილი და კრუპა“** დიდად მარგებელი საზოგადოდ და განსაკუთრებით ავადმყოფ და გამხდარ ბავშვებისათვის. აქვე მივიღეთ ახალი კუხნა **„პრიმუს“** რომელიც უპატრუქოთ აინთება ნავთით. პრეისკურანტები გაეგზავნებათ ურველთ უფასოდ. (10—10)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, წიგნების გამომცემელთ მაღაზიაში

და სხვებთან

ისყიდება

ქართული ანბანი

კუბიკებზედ

გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული

ფასი ერთი მანეთი ყუთით.

(3—3)

„აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.“ რაც უფრო წყნარად და შეღავათით დაიწყება საქმე, იმდენად უფრო სწორედ, ადვილად, სარწმუნოდ წავა და მალე შესრულდება. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „ნელა იარე, შინ მშვიდობით მიდიო“. ჩქარა სიარული იმას შეუძლიან, ვისაც მუხლი გამაგრებული აქვს და არა ჯერ ისევ რჩვილ ყრმას. მივხედოთ ბუნებას, რომელიც ასე წყნარად, აუჩქარებლად, დაუგვიანებილივ და შეუწყვეტლივ მუშაობს. ვინ შეამჩნევს, როგორ იზრდება და სქელდება ტოტები ხისა; ამოდის და იზრდება ბალახი; მატულობენ და დიდრონდებიან ცხოველები; ხოლო ვინ არ იცის, რომ ყველა ესენი შეუჩერებლივ იზრდებიან და დანიშნულს დროზედ მოდიან ჰასაკში? ამ ნაირადვე უნდა მოიქცეს მასწავლებელი: ბუნებასთან ბრძოლა-კი არა ჰმართებს, არამედ დახმარება მისი.—მასწავლებელს უნდა ახსოვდეს ყოველთვის, რომ ბატონი და მბრძანებელი-კი არ არის ბუნებისა, არამედ მორჩილი ყმა და მოსამსახურეა მისი. ვინ იფიქრებს, რომ ერთს დღეში შეიძლებოდეს წიწილების გამოსხმა, თუ რომ კვერცხებს გავახურებთ ცეცხლზედაო, იმის მაგიერ, რომ მთელის სწორობით გვეწყოს ზომიერ თბილ ადგილას, ან ზედ იჯდეს კრუხიო; ვინ იტყვის, რომ უზარმაზარი კაკლის ხის გაზდა შეიძლებოდეს ერთს წელიწადს?!. აჩქარებულს პედაგოგებს ავიწყდებათ ბუნების სვლა და კვალი, სურს შეასწავლონ ბავშვს ერთს თვეში ის, რაც შეიძლება შეისწავლოს წელიწადში. დალოცვილები, გამოსდგომიან სიჩქარეს და წარმოუდგენიათ, რომ ვითომც ეს არის ძალა სწავლისა, განათლებისა, და ის-კი აღარ ახსოვთ, რომ მხოლოდ ზომიერი და ბუნებასთან შეთანხმებული სისწრაფე არის კარგი და სასარგებლო. აი აქედგან წარმოსდგება საჩივარი აჩქარებულ მასწავლებლებისა ვითომც შევირდებს მძიმე გულისყური აქვთო; უხალისონი არიან, ვერას ითვისებენო; ის-კი ვერ გაუგიათ, რომ ყოველ ამის მიზეზნი თითონვე ბრძანდებიან. ჯერ შეაჭყლეტენ ყმაწვილს საქმეს, შეალევინებენ ტყვილ-უბრალოდ ძალ-ღონეს და მერე ჰკვირობენ, წარმატებაში ვერ მიდის ყმაწვილიო, საქმე ძალიან მძიმედ და ნელა მიდისო. ჯერ დასტუქსავენ ყმაწვილს, ჩაუგდებენ გულში შიშს და სწავლის სიძულილს და მერე წუწუნობენ, ყმაწვილებს არა აქვთ ხალისი სწავლისაო. ჯერ შეაჩვევენ უაზროდ ლაპარაკს და სწავლას, თუთიყუშივით, კაჭკაჭივით ამოძახებას იმისა, რისაც ბავშვს სრულებით არა გაეგება-რა და მერე სჩივიან, ბავშვები ბუნებით ყუნჩონი, ბრიყვნი და უზდელნი, ერთის სიტყვით «ველურნი და ტეტიები» არიანო. ხოლო ამას-კი არავინ იფიქრებს, რომ ეს არის ნაყოფი მასწავლებლის უმეცრებისა, მისის თავ-ხედობისა, შეუფერობლობისა, ბავშვის ბუნების წინააღმდეგ მოქცევისა!

საჭიროა ესეც ვიქონიოთ სახეში, რომ ბავშვს ოჯახიდგან მოაქვს სკოლის შესახებ ის აზრი, ვითომ იქ ყმაწვილებს სცემენ მხოლოდ და სტყეპავენ. თუ რომ მასწავლებელი, გაუფრთხილებლად და წინ-დაუხედავად, პირველადვე შეაჯახებს მოსწავლეებს საძნელო რაიმეს, ამით სრულებით დაარწმუნებს ყმაწვილს, რომ მართლა სკოლაში ასწავლიან რაღაც ისეთს სიბრძნეს, რომლის გაგება და შეგნება მისთვის ძალიან ძნელია და შეუძლებელი და ამის გამო, უთუოდ, არა ერთი და ორი წკეპლა მოხვდება. ამასთანავე, თუ რომ მასწავლებელი ცოტა ბრაზიანიც არის, მაშინ მშვიდობით, სწავლავ! ტყუილი-ღა იქმნება ყოველი შრომა და ცდა: შიშით შეპყრობილი ბავშვები მთლად დაერწმუნებიან, რომ სწორედ მართალია ყოველივე, რაც-კი მოგვიგონია სკოლის შესახბაო. ახლა, ვან არ ვიცით, თუ რა „გაუგონიათ: იცელქა როგორმე ბავშვმა სახლში, ემუქრებიან: „მოიცა, მიგცემთ სკოლაში და მოგაჭკვიანებენო“; აჩვენეს რაიმე ბავშვს და მან ეს ვერ გამოიცნო, მაშინვე დაემუქრებიან: «მოიცა ცოტა ხანი, სკოლაში გაჩვენებს წკეპლით მასწავლებელიო»; თუ ბავშვმა გააფუჭა რამე მშობლებს, სკოლით აშინებენ, სკოლა დაგაწყნარებსო; თითქმის ალერსის დროსაც-კი ბავშვს ესმის სკოლის უწყალობა და პირქუშობა: „შეჭამე, დედა გენაცვალოს, შვილო; ითამაშე, გაიქეც-გამაიქეც, თორემ შეხვალ სკოლაში და ყველას დაგავიწყებენ, მოგამშევენ, დაგქანცავენ, სცემენ, გატირებენ, დედა მკვდარს და სხ... ესმის ყველა ეს ბავშვს და ღრმად ინერგავს გულში სკოლის გულქვაობას, უწყალობას, რომლისადმი ებადება სიძულილი, და მძულვარება. აი მოვიდა დროც იმის სკოლაში შეყვანისა; ჯავრით და ბოლმით ყელამდინ სავსე მიჰყავთ მშობლებს შვილი სკოლაში შესაყვანად, სადაც მოელოდება რაღაც საშიშს საქმეს. აი მართლაც მივიდა სკოლაში, ესმის რაღაც უცნაური ხმები, მისთვის სრულებით გაუგებარი, და გამოუდეგარი; იმას მოჰყვება სქელ ქაღალდზედ გაკრული, ცალ-ცალკე დაჭრილი, ასოები: დაწერილები, დაბეჭდილები; მსხვილები და წვრილები. თავბრუ ეხვევა ყმაწვილს, უცქერის ბავშვი ასოებს, უსმენს უცნაურს ხმებს და ჰგრძნობს მისი გული, რომ წკეპლას, მართლა, ვერ გადაურჩება; ცდილობს შეიგნოს როგორმე ეს სიბრძნე, მაგრამ ვერა გაუგიარა: უწუხს გული, ეკარგება ხალისი და ებადება აზრი უიმედობისა, სასოწარკვეთილებისა...

აი, ამისთვის ვსთქვით, რომ, ვიდრე დაიწყებდეს მასწავლებელი სისტემატიურს სწავლას, საჭიროა შეამზადოს ყმაწვილები სწავლისათვის „დიდი და ბევრი ფიქრი მართებს მასწავლებელს ამბობს კელლნერი, ყმაწვილების პირველ სასკოლო დღისათვის. დღე, როდესაც შენს სკოლაში შემოდიან ახალ-მოსწავლე ბავშვები, ჭეშმარიტად, არის სადღესასწაულო დღე. ამისათვის ჩაიცვი და დაიხურე საუკეთესო შენი ტან-საცმელი და მხიარულის მოღიმარის სახით მიიღე მეგობრულად, საუკეთესოდ მორთულს, შენს სასტუმრო ოთახში ახალნი მოსწავლენი, როგორათაც კეთილმა მამამ და დარწმუნებული იყავ, რომ ამ დღეს ბევრჯელ მოიგონებენ სიამოვნებით ბავშვები თავის სიცოცხლეში“.

(შემდეგი იქნება)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მიქიანაშვილისა . . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკათ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . . | „ | 10 |



სამეურნეო გაზეთი

# „მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთის პროგრამმა:

I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის სა მეები შესახებ.
II სამეურნეო ეკონომია.
III წერილები ხვნა-თესვაზედ, ბაღოსნობაზე, მებოსტნობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
IV სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მეხანიკა.
V ვეტერინარობა (ბეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
VI მეურნეობის ამბები და კორესპონდენციები.
VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
X ცნობები თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
XII ნარკვევი,
XIII კითხვა-პასუხი.
XIV სურათები.
XV გამოსადეგი ადრესები.
XVI განცხადებანი.
XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ტფილისში წლით 4 მანეთი | ტფილისს გარეთ: წლით 5 მ. |
| ნახევარის წლით 2 მ. 50 კ. | ნახევარის წლით 3 მ. |

ამ ნომრიდან გაზეთში მოღვაწეობენ ახალნი თანამშრომელნი, რომელთა მეოხებით რედაქციას სრული იმედი აქვს, რომ იგი პირნათლად აასრულებს თავისს მოვალეობას.

ვისაც „მეურნის“ გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: ტფილისში „მეურნის“ რედაქციაში, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას“; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას, ჭყონიას სახლში და წიგნის მაღაზიებს: ძმ. ჭილაძესა, ძმ. წერეთელთა და კ. ბეჟანიშვილისას; დ. ყვირილაში თ. ხუსკივაძეს; ჯიხაიშს დავით ლევანის ძეს დოლობერიძეს, ოზურგეთს და ახალსენაკში კ. თავართქილაძის სტამბებს და ბათომში პავლე შ. ჭყონიას, დამოუნის მოხელეთა სადგომში.

გაზეთში დასაბეჭდად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე. თითოჯერ ბწკარის დაბეჭდვა ეღირება პირველ გვერდზე აბაზი და უკანასკნელზედ—ორი შაური.

„მეურნეში“ დასაბეჭდად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთათურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროებისდაგვარად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რეუტის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტორის განყოფილება ქუთაისში, ჭყონიას სახლში. (5—4)



კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს გარედგან მოსიარულეთა და თავის სახლში დაწვენითაც ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე.

ადრესი: საპიოერის ქუჩა, სახლი ბაბანასოვისა № 41.

(10—1028—1)



მიიღება ხელის მოწერა
1894 წლისათვის
ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე“-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . . . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე



ზეთის გამოსახდელი და საპნის ქარხნები ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვის ქ. ტფილისში

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება **ზეთები: საჭმელად:** შირბახტისა, სელისა, კანაფისა; **კანდელისა მოდუღებული** საღებავ წამლებისთვის და ზეთები კარგის ღირსებისა. **ბოთლებით ისყიდება** შემდეგ მაღაზიებში: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ჯოკანის მაღაზიებში, ალიხანოვის მაღაზიებში—გოლოვინის პროსპექტი, სახლი დოხჟანსკისა, და ვარანცოვის ძეგლთან, კარვასლთან, გოლოვინის პროსპექტი სახლი ორბელიანისა, სარაჯიშვილთან, გოლოვინის პროსპექტი, სახლი ბაბანასოვისა, მაკაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა საკუთარი სახლი, ხუდადოვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრეს ეკკლესიის პირდაპირ, სადაგოვთან, პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, გალალიანცთან, პანასევიჩის ქუჩა, სახლი № 1, წერეთელთან, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ხოსროევისა. ყოველ გვარ ზეთის **წვრილ-წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარ საწყობებში:** მიხაილოვის ქუჩაზედ, კარლოვის სახლში ვორონცოვის ძეგლთან, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფიცრის ფარდულში, იარმუკაზე, ბუდდანოვის სახლში, ავლაბრის მოედანზედ ქალაქის ფარდულში და ოლგას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლში.

**ნარდად ყიდვა შეიძლება** ქარხნებში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლები. ქარხანაში და საკუთარ მაღაზიებში ისყიდება აგრეთვე **ჩენჩო** ძროხებისა და ხარების საკვებად.

(10—3)



Maison HERMANN—LACHAPELLE, J. BOULET & C-ie,
Succ-rs 31 et 33, Rue Boinod, პარიჟი
ოთხი ოქროს მედალი, მსოფლიო გამოფენა 1889 წ. ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წ.

**განუწყვეტლად მომქმედი მანქანა**

სიფონები
დიდის და პატარა მილით



მუშტუნა ყველა ნაირ სასმელების გასაკეთებლად, სოლტერისა და სოდის წყალის, ფუნისას. მუშტუნა მინდგან ფურცლით დაფენილი სიფონები ყველა ზომისა და ფერისა

ფასი სიფონებისა მეტად დაკლებულია. Manuel du Fabricant de Boissons Gazeuses ფასი 5 ფრ. დაწვრილებითი სია უფასოდ იგზავნება.



ნუ იყიდით

**ველოსიპედებს**



მანამ ჩვენი კატალოგი 1894 წ. არ წაიკითხოთ. ჩვენი კატალოგი გამოაშკარავებს **სენსაციურ ახალ ამბავს** ამ წლის სეზონისთვის.

კატალოგი გაეგზავნებათ უფასოდ.

Торговый домъ **Ж. Блокъ, Москва.** С.-Петербургъ, Одесса, Варшава, Кокандъ, Ростовъ н/д, Екатеринбургъ.

(5—5)





ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

**ტურბინები**

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.



**სასაპარელო ესსენცია კოლბეირსა**
(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.